აღნიშნავ, რომ ახალდაბის სანატორიული სკოლა-ინტერნატის მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს: სკოლა-ინტერნატში არაა დაცული სანიტარულ-პიგიენური ნორმები: არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება შენობებისა და ინვენტარის მოვლა-დაცვის საქმე. კეთილმომზურებელი და ჭუჭყიანია სკოლა-ინტერნატის სასაძილო და ეზო-გარემო, აღსაზრდელები ხელ-შირდაუბანელნი, თმადაუვარცხნელნი და ჭუჭყიანები არიან.

ჩრდილ არ სრულდება დღის რეჟიმით გაოვალისწინებული ღონისძიებანი; მაგალითად, ყოველი გაკვეთილის წინ არ ტარდება 5 წუთიანი ფიზკულტურული ვარჩიშობები, არ ტარდება დღის ძილი, დაცვიანებით ეძლევათ ბავშვებს სადილი და გამამი.

განსაკუთრებით სერიოზული ხარვეზები გამოვლინდა ზოგად-საგანმანათლებლო საგნების სწავლებასა და აღმზრდელობით მუშაობაში.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მშობლიური ენა და ლიტერატურა. მასწავლებლები კ. ბარაქაძე და ლ. გელაშვილი არ ემზადებან გაკვეთილებისათვის, სათანადო ყურსდღებას არ უთმობენ დღსაზრდელთა ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარების საქმეს. სწავლების პროცესში არ იყენებენ თვალსაჩინოებას. თვით მასწავლებლებიც ვერ ფლობენ მართლწერის წესებს და, წერითი ნამუშევრების გასწორების ღრას, უშვებენ უხეშ შეცდომებს. გარდა ამისა, დარღვეულია წერის ჩატარების გრაფიკი და არც საკონტროლო წერების რაოდენობაა დაცული. მიუხედავად მოსწავლეთა ნაშრომებში დაშვებული უამრავი შეცდომისა. მათი ცოდნა ლიბერალურად ფასდება. ამ მხრივ დიდი ნაკლოვანებები გააჩნია სკოლა-ინტერნატის დირექტორს კ. ბარაქაძეს; ერთ-ერთი მერვე კლასე-



ლის მიმღინარე წლის 14 ობერვალს შესრულებულ წერილი და მიმღინარე შევარში (ხალხთა მეცობრობა „ვეფხისტყაოსანში“) მას მხოლოდ 4 შეცდომა შეუნიშნავს, 13 კი მხედველობიდან გამორჩენია. უხეში ენობრივი შეცდომებითაა სავსე პედაბჭოს ოქმი და სხვა სასკოლო დოკუმენტები.

სუსტად მუშაობს მშობლიური ლიტერატურის საგნობრივი წრე (ხელმძღვანელი ო. ქეილაძე). წრის სხდომები არარეგულარულად ტარდება, რაც მთავარია, იგი არ ითვალისწინებს მოსწავლითა ინტერესებსა და მიღრეკილებას. წრის სამუშაო გეგმაში შეტანილი ყველა საკითხი პროგრამული მასალის დამუშვებას ითვალისწინებს.

რიგი ნაკლოვანებებით ხსიათდება რუსული ენის სწავლება (მასწ. ბ. ბლიაძე და ვ. ნატროზაშვილი). გაკვეთილებზე ნაკლები ყურადღება ექცევა სალექსიკონ მუშაობას, კითხვის ტექნიკისა და სასუბრო ენის განვითარებას. წინადაღებების გარჩევისას და წერის დროს მოსწავლეები ვერ ახერხებენ დაზეპირებული გრამატიკული წესების პრაქტიკულად გამოყენებას და ა. შ.

სუსტად მუშაობს საგნობრივი წრე რუსულ ენაში (ხელმძღვანელი ე. ნატროზაშვილი). იმის მაგირ, რომ მოსწავლეები ამუშაოს გამოშეტყველებათ ათხვაზე, ამს. ვ. ნატროზაშვილი თვით უკითხავს მათ ამა თუ იმ ნაწარმოებს.

გარკვეული ნაკლოვანებებია მათემატიკის სწავლებაში (მასწავლებლები ნ. ბლიაძე და ლ. მართიაშვილი). მასწავლებლები გაკვეთილზე ითარგლებიან მხოლოდ ცალკეული მოსწავლეებით, მათი ძირითადი მასა კი უყურადღებოდა მიტოვებული და გამოთიშულია სწავლების პროცესიდან. ის მასწავლებლები სწორად ვარც გავაკვეთილის დროს ანაწილებენ. ახალი მასალის ახსნას ნაკლებ დროს უთმობრნ. მის განმტკიცებასა და საშინაო დაგალების მიცემას კი ზარის შემდეგ ახდენენ. იშვიათად მოწმდება საკლასო-საშინაო რევულები, ამიტომ ძალიან დაბალია მოქმედებებით წერის კულტურა. საკონტროლო წერითი ნაშრომები უგულისყუროდ სწორდება. მათში გაბარულია ბევრი შეცდომა, მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში, როგორც წესი, ადგილი აქვს ლიბერალიზმს, ვინაიდან მეოთხედში დაწერილი ნიშნები არ შეესატყვისება. მათ რეალურ ცოდნას.

ქიმია-ბიოლოგიის სწავლებისათვის სკოლა-ინტერნატში არ არის შექმნილი საჭირო პროგრამა. კაბინეტი მეტად ღარიბია სასწავლო ხელსაწყოებით, ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩი-

ნოებით. არ არის წყალგაყვანილობა, არ აქვთ ამშოვი კარაფი  
და ა. შ.

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული სერიალურია  
ზული ხაკლოვანებების გამო არადამაქმაყოფილებელი მაჩვენებლე-  
ბით დაამთავრა ახალდაბის სანატორიულმა სკოლა-ინტერნატშა ბინ-  
დინარე სასწავლო წლის III მეოთხედი (87,7%). მცირეა ხუთოსან-  
თა და ოთხოსანთა რიცხვი. დაბალია ეკადემიური მოსწრება (IV<sup>1</sup>  
(კლასის ხელმძღვანელი თ. ქველაძე, აღმზრდელები ჭ. ბანცაძე,  
ი. მჭედლიშვილი), VIII (კლასის ხელმძღვანელი ვ. ნავროზაშვილი,  
აღმზრდელი კ. სუთიაშვილი) და IV<sup>2</sup> კლასებში (კლასის ხელმძღვა-  
ნელი აბბარცუმიანი, აღმზრდელები: ჭ. შენგელია და ც. გოგო-  
ლაძე).

არასწორად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი; მასში  
არ არის დაცული, დღეების ნორმალურად დატვირთვის მიზნით,  
ათვისების მხრივ ძნელი საგნების თანაბრად განაწილების პრინციპი.  
გაკვეთილების ცხრილშია შეტანილი აგრეთვე ფაზულტატივები  
მათემატიკასა და ფიზიკაში.

საფუძვლიან გადამუშავებას მოითხოვს აღსაზრდელთა დღის  
რეჟიმიც. საშინაო დავალებების შესრულებაზე მუშაობის პერიოდ-  
ში ნაკლები ყურადღება ექცევა აღსაზრდელებში დამოუკიდებელი  
მუშაობის ჩვევების გამომუშავებას (VIII კლ. აღმზრდელი კ. სუ-  
თიაშვილი), სწორედ ამიტომ, აღნიშნულ სააღმზრდელო ჯგუფში 23  
მოსწავლიდან ვერ ასწრებს 6.

სკოლა-ინტერნატში ნაკლები ყურადღება ეთმობა ლიტერატუ-  
რული დილა-საღამოების, კომუნისტური შრომის მოწინავეებთან  
შეხვედრების, ექსკურსია-ლაშქრობების მოწყობას. თითქმის არ  
ეწყობა სპორტული ასპარეზობანი და მოძრავი თამაშობები.

არადამაქმაყოფილებლად არის დაყენებული მეთოდური მუ-  
შაობა. ნაკლებად ხდება აღმზრდელებისა და მასწავლებლების გა-  
კვეთილებსა და ოვითმომზადებაზე ურთიერთდასწრება და გამოც-  
დილების გაზიარება, არ არის მოწყობილი მეთოდური კუთხე  
და ა. შ.

სუსტია დირექტორის, ამხ. კ. ბარბაქაძის კონტროლი და დახ-  
მარება პედაგოგიური კოლექტივისადმი. სკოლა-ინტერნატის დირე-  
ქტორის კ. ბარბაქაძის მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზებია,  
გარდა იმისა, რომ ზერელე და არაფრისმთქმელია, სავჭეა უხეში

ენობრივ-სტილისტური შეცდომებით და, ჩაც მთავარია, იგი ჟელ-  
გოგებს არ აცნობს მის მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზის და  
ამასთანავე, იჩენს უტაქტობასა და არაბიექტურობას მასწავლებ-  
ლებთან და აღმზრდელებთან ურთიერთობაში. სწორედ ეს არის ძი-  
რითადი მიზეზი იმისა, რომ სკოლა-ინტერნატის პედაგოლოექტივის  
უმეტეს ნაწილსა და კ. ბარბაქაძეს შორის არავანსაღი და არაკოლე-  
გიალური განწყობილება სუფევს, რაც უარყოფითად მოქმედებს  
სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვის  
საქმეზე;

სკოლა-ინტერნატის ექიმი ჭ. ფანქველაშვილი სათანადო კონ-  
ტროლს ვერ ახორციელებს ბავშვთა კვებასა და სანიტარულ-ჰიგი-  
ენური რეჟიმის დაცვაზე. სკოლა-ინტერნატში დღემდე არ არის გა-  
მოყოფილი ჰიგიენის ოთახი გოგონებისათვის.

სკოლა-ინტერნატის პროდუქტის საწყობში, შერჩევით ჩეტარე-  
ბული აღწერის დროს, აღმოჩნდა 34 მან. და 31 ქაბ. დანაკლისი:

სკოლა-ინტერნატის მუშაობაში არსებული ზემოხსენებული და  
სხვა ნაკლოვანებები გამოწვეულია იმთაც, რომ ბორჯომის რაიონის  
სახალხო განათლების განყოფილებაშ საჭირო დახმარება და ხელ-  
მძღვანელობა ვერ გაუწია სკოლა-ინტერნატს მუშაობაში.

ახალდაბის სანატორიული სკოლა-ინტერნატის მუშაობაში  
გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

#### 1. სკოლა-ინტერნატის დირექტიამ:

ა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლე-  
ბელთა და აღმზრდელთა მუშაობისადმი, სისტემატურად დასწროს  
მათ გაკვეთილებსა და თვითმეცადინეობებზე; პედაგოგიურ საბჭოს  
სხდომებსა და საწარმოო თაბირებზე განიხილოს სასწავლო დის-  
კიპლინების სწავლების მდგომარეობა, მეორეწლიანობისა და მოს-  
წავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის საკითხი; დასახოს ღონის-  
ძიებები სწავლების ხარისხის შემდგომ გასაუმჯობესებლად და  
მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის;

ბ) განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყოლიოს ამ ბრძანე-  
ბაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლები და აღმზრდე-  
ლები, სისტემატურად აღმოუჩინოს მათ საჭირო დახმარება და თუ  
ამის შემდეგაც ვერ უზრუნველყოფენ საგნის სწავლებისა და

და აღმზრდელობითი მუშაობის არსებითად გაუმჯობესებას, აუკინოს საკითხი სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ; კრიკეტისა და აუკინოს საკითხი სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აღსაზრდებულებას იდეურ-პოლიტიკურ და ესთეტიკურ აღმზრდას. ხშირად ჩაატაროს თვითმოქმედების საღამოები, შეხვედრები ხელოვნების, მეცნიერების მუშაკებთან, წარმოების მოწინავე ადამიანებთან და სხვა მასობრივი ღონისძიებანი;

დ) არსებითად გააუმჯობესოს აღმზრდელ-მასწავლებლისადმი მეთოდური დახმარება, იმგვარად წარმართოს საგნობრივ-მეთოდური გაერთიანების მუშაობა, რომ ისინი ხელს უწყობდნენ მასწავლებელთა პროფესიულ დახელოვნებას და სწავლების ხარისხის ამაღლებას;

ე) იზრუნოს აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, არ დაუშეს კვების ნორმების დარღვევა. წინასწარ შეადგინოს და თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას რამოდენიმე დღის მენიუ და სხვ.

ვ) მტკიცე კონტროლი დააწესოს სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე. სათანადო ყურადღება მიაქციოს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას. სრულ წესრიგში მოიყვანოს სანიტარული კვანძები და სკოლა-ინტერნატის სხვა სათავსოები, დაუყოვნებლივ გამოყოს ჰიგიენის ოთახი გოგონებისათვის;

ზ) სკოლა-ინტერნატის პროდუქტების საწყობში პროდუქტების ნაკლებობის დაშვებისათვის მყაცრი აღმინისტრაციული სასჯელი დაადიოს საწყობის გამგეს ბ. ქველაძეს და გადაახდევინოს მას რევიზიის შედეგად გამოვლინებული პროდუქტების ნაკლებობის ღირებულება;

თ) საგნის არადამაკმაყოფილებლად სწავლებისა და მოსწავლეთა დაბალი ცოდნის გამო მასწავლებლებს: ლ. გელაშვილს, თ. ბლიაძეს, ლ. მართიშვილს და აღმზრდელ კ. სუთამშვილს VIII კლასის აღსაზრდელების თვითმომზადების სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოთ.

2. ახალდაბის სკოლა-ინტერნატის დირექტორი კ. ბარბაქაძე, რომელმაც ეკრ უზრუნველყო სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სათანადო ხელმძღვანელობა, ამასთან, თავისი მოქმედებით ხელი შეუწყო სკოლა-ინტერ-

ნატის პედაგოგიურ კოლექტივში დაჯვრუფებებისა და დამატებული ატმოსფეროს შექმნას, განთავისუფლდეს სამუშაოდან.

ეცნობოს საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროს, რომ ახალდაბის სანატორიული სკოლა-ინტერნატის ექიმი გ. ფანქველაშვილი სათანადო კონტროლს არ ახორციელდებს ბავშვთა კვებისა და სანიტარულ-ჰიგიენურ რეჟიმის დაცვაზე.

4. სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ განათლების სამინისტროს ბრიგადის მიერ მონაკვდევი მასალა გადაეგზავნოს ბორჯომის რაიონის განათლების განყოფილებას. განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ბ. მინჯიამ, ამ ბრძანებასთან ერთად, განიხილოს იგი სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე საჭირო ზომების მისაღებად.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილმა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგის 1974 წლის 20 ივლისის დადგენილება.

## რეკომენდაციები სკოლა-ინტერნატის აღსაზღველთა დღის რეზიგნის ორგანიზაციისათვის

სკოლა-ინტერნატი მოწოდებულია აღზარდოს მაღალიდეური, დიდად განათლებული, ყოველმხრივ განვითარებული, ჯანსაღი და ფიზიკურად გამობრძმედილი, ცხოვრებისა და შრომისათვის მომზადებული თაობა. ასეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გაღაწუვეტაში დიდ როლს თამაშობს რაციონალურად შედგენილი დღის რეჟიმი.

სკოლა-ინტერნატის დღის რეჟიმი უნდა აიგოს პიგინის თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე, ამ დაწესებულების სასწავლო-აღმზრდელობითი და გამაჭანსაღებელი მუშაობის თავისებურებათა გათვალისწინებით, მოსწავლეთა თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის დიფერენცირებულად.

დღის რაციონალური რეჟიმი მოსწავლეებში ზრდის დისკიპლინიანიანობას, აჩვევს მათ დროის დაზოგვას, ხელს უწყობს ბავშვებში ინიციატივის, დამოუკიდებლობის განვითარებას. დღის რეჟიმის ცალკეულ კომპონენტებს აღსაზრდელები გაცილებით უფრო კარგად ასრულებენ, თუ ისინი ორგანიზებულია ბავშვთათვის ჩევრლ ვითარებაში და ყოველთვის ერთსა და იმავე საათებშია მოცემული, ერთი და იგივე თანამიმღევრობით.

სკოლა-ინტერნატის დღის რეჟიმი, გარდა სასწავლო მეცანიერობისა, საქმიან დროს ითვალისწინებს ძილის, დასვენებისა სხვადასხვა ზასიათის საქმიანობისათვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებას. თითოეულ აღსაზრდელს მისი მიღრევილების ნიჭისა და უნარის მიხედვით უნდა შევუქმნათ ხელშემწყობი პირობები სკოლისგარეშე მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის: მეცანიერობა წრეებში, სპორტულ სექციებში, პიონერთა სასახლეებისა და სახლების, ბიბლიოთეკების, ნორჩ-ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა, ბავშვთა ტურისტული სადგურების, მოზარდ მაყურებელთა თეატრების, მუსიკალური სკოლების, სათხალამურო საღვურებისა და სხვათა ნახვა-გაცნობა.

სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი აღსაზრდელთა  
დღის განრიგს ადგენს მედიცინის მუშაკთა აქტიური მონაჭილეობა  
ბით.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დღის რეჟიმის აგების  
თავისებურებანი სასწავლო მეცადინეობისაგან თავისუფალი დღე-  
ებისა და არდადეგებისათვის. გამოსასვლელი დღის მეტი წილი ბავ-  
შეებრა უნდა გაატარონ სუფთა ჰაერზე. სასწავლო მეცადინეობისა-  
გან თავისუფალ დღეებში კარგია აგრეთვე მოეწყოს მუზეუმში, კი-  
ნოში, თეატრში წასვლა, გამოფენის დათვალიერება და სხვა.

### სასწავლო მეცადინეობის რეჟიმი

რეჟიმი ითვალისწინებს ბავშვთა ცხოვრების ორგანიზაციის ძი-  
რითად საკითხებს: სასწავლო და სწავლისგარეშე მეცადინეობას,  
დღის დასვენებას ჰაერზე მაქსიმალური ყოფნით, კვებას, ძიღს. ამას-  
თან, რეჟიმის ცალკეული მომენტები დღე-ღამის განმავლობაში ისე  
ნაწილდება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა სახის საქმია-  
ნობის მონაცემება, შრომისა და დასვენების დროულად ცვლა.

დაღლილობის ზრდასთან ბრძოლის ერთ-ერთი არსებითი სა-  
შუალებაა გავვეთილებს შორის აღსაზრდელთა დასვენების უნა-  
რიაანი ორგანიზაცია. ამასთან, საუკეთესო დასვენება იქნება არა  
სრული მყულროება, არამედ საქმიანობის ხასიათის შეცვლა. ამი-  
ტომაა რეკომენდებული დასვენების დროს ნაკლებმოძრავი ან შე-  
დარებით წყნარი თამაშის ჩატარება სუფთა ჰაერზე, ხოლო თუ პი-  
რობები ამის საშუალებას არ იძლევა, მაშინ დარბაზებში ან სხვა  
სადგომებში:

რამაცვირველია, არ შეიძლება დასვენების დროს ბავშვების მე-  
ტისშეტად აგზნება, მაგრამ არც ის არის სწორი, რომ ბავშვებმა დაი-  
სვენონ კედელთან ფეხზე მდგომა ან დერეფანში იარონ წყნარად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჰაერის კარგად  
გაწმენდას კლასებში.

### საშინაო დაცალებათა დროის გიუჯეტი

საშინაო სასწავლო მეცადინეობისათვის გამოყოფილია:

I-II კლასების მოსწავლეთათვის — 1 საათამდე,

III კლასების მოსწავლეთათვის — 1,5 საათამზე,

IV-V კლასების მოსწავლეთათვის — 2 საათამდე,

VII-VIII კლასების მოსწავლეთათვის — 2,5 საათამზე,

VIII-IX-X კლასების მოსწავლეთათვის — 3 საათამდე.

თვალყური უნდა ვადევნოთ საშინაო დავალებათა სწორად დო-  
ზირებას თითოეულ სასწავლო საგანში და მივაღწიოთ მათ შემცი-  
რებას მოფიქრებულად. სკოლა-ინტერნატის დირექტორებმა და  
დირექტორის მოადგილეებმა სასწავლო-სააღმზრდელო დარგში მას-  
წავლებლები უნდა დაავალდებულონ, რათა ერთმანეთს შეუთანხმონ  
დავალებათა მოცულობა თითოეული კლასისათვის თითოეულ დღე-  
ზე და არ დაუშეან მოსწავლეთა გადატვირთვა.

სასწავლო საათების ყოველდღიური და ყოველკვირეული რა-  
ოდენობა ცხრილში არ უნდა აღემატებოდეს სასწავლო დატვირთვის  
დაწესებულ ნორმებს. სასწავლო საგნებს, რომლებიც მეხსიერებისა  
და ყურადღების უფრო დიდ დაძაბვას მოითხოვს, ცხრილში უნდა  
დაეთმოს პირველი საათები, როცა მოსწავლეთა შრომისუნარიანობა  
შედარებით მაღალია.

უფრო - რაციონალურია საშინაო დავალების შესრულება  
სადიღისა და 1,5-2 საათს სუფთა ჰაერზე ყოფნის შემდეგ.  
I-III კლ. საშინაო სასწავლო მეცადინეობის ჩატარების პროცეს-  
ში საჭიროა მოეწყოს 10-15 წუთიანი შესვენებები ყოველი 45  
წუთის შემდეგ, ხოლო IV-X კლასების მოსწავლეებს საშუალება  
შემდეგ, ხოლო IV-X კლასების მოსწავლეები სურვილის მიხედვით, მუშაო-  
უნდა მივცეთ, მოაწყონ შესვენებები სურვილის მიხედვით, მუშაო-  
ბის განსაზღვრული ეტაპის დამთავრების შემდეგ, ვინაიდან თვით-  
მომზადების პერიოდში რეგლამენტირებული შესვენება ყურადღე-  
ბომზადების ბას უფანტაგს აღსაზრდელებს და ხელს უშლის მათი აზროვნების  
კონცენტრაციას. დაუშვებელია გაკვეთილების მომზადება მაშინ-  
კონცენტრაციას. ამ შემთხვევაში აღსაზრდელები იძულებული  
ვა — ნასაღილევს. ამ შემთხვევაში აღსაზრდელები იძულებული  
ხდებიან საქმაო დასვენების გარეშე იმეცადინონ 7-8 საათს.

ზოგჯერ სკოლა-ინტერნატში, I-III კლასების მოსწავლეები სა-  
შინაო დავალებებს ასრულებენ მასწავლებლის ხელმძღვანელობით.  
შინაო დავალებებს ასრულებენ მასწავლებლის ხელმძღვანელობით.  
შემთხვევაში, თუ ასეთი მე-  
ცეს გამოცდილება გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მე-

შემთხვევაში არ უნდა შემცირდეს ხარისხი შრომისა და სიმჭიდრო  
გაკვეთილებისა, რომლებსაც ჩვეულებრივ აღმზრდელები ხელმძღვან  
ვანელობენ კლასგარეშე მეცადინეობის დროს.

დამოუკიდებლობის პრინციპზე უნდა იგოს აგრეთვე საშინაო  
დავალებათა შესრულება IV-VI კლასების მოსწავლეთა მიერ, მიუ-  
ხედავად იმისა, თუ ვინ ხელმძღვანელობს ამ საქმეს — მასწავლებე-  
ლი თუ აღმზრდელი. მასწავლებლთა ამოცანაა, შექმნან ნორმალუ-  
რი პირობები მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებების შესასრუ-  
ლებლად, ასწავლონ მათ დამოუკიდებლად მუშაობა.

VII-IX კლასების მოსწავლებს შეიძლება მიეცეთ შესაძლებ-  
ლობა, სრულიად დამოუკიდებლად შესასრულონ საშინაო დავალე-  
ბები მასწავლებლის ან აღმზრდელის დაუსწრებლად. სწორად იქ-  
ცევიან იმ სკოლა-ინტერნატებში, საღაც ხსნებული კლასების მოს-  
წავლები საშინაო დავალებებს ასრულებენ სასწავლო კაბინეტებ-  
ში, ბიბლიოთეკაში, მეცადინეობისაგან თავისუფალ კლასში, სამ-  
კითხველოსა და სხვა სადგომებში, თუ იქ არის სათანადო მოწყობი-  
ლობა. მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებების შესრულების ორ-  
განიზაციისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ რაც  
უფრო ჩქარა დაეუფლებიან მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშა-  
ობას, მთ უფრო მტკიცე იქნება მათი ცოდნა და ჩვევები.

რიგ სკოლა-ინტერნატებში აღსაჩრდელებს, რომლებმაც კარ-  
გად და სწრაფად შესასრულეს საშინაო დავალება, აიძულებენ კლას-  
ში „ძალის“ რეჟიმით დადგენილი მთელი დროის მანძილზე. ასე-  
თი წესი არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. პირიქით, საჭიროა ყო-  
ველმზრივ წავახალისოთ ის კეთილსინდისიერი მოსწავლეები, რომ-  
ლებიც მთელი მონიღომებით და ძალდაუტანებლად იწყებენ და ზუს-  
ტად ასრულებენ საშინაო დავალებას. ასეთი მოსწავლეების კლასში  
დატოვება არავირათ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს, მათ უნდა  
მიეცეთ შესაძლებლობა. გონივრულად გამოიყენონ ეს დრო თავისი  
შეხედულებისამებრ. მაგრამ, ამასთან ერთად, აღსაჩრდელების საქ-  
მიანობა ამ დროს წინასწარ ძალიან მკაფიოდ უნდა იყოს დაეგვი-  
ლო და განსაზღვრული აღმზრდელის მიერ.

აღსაჩრდელთა მიერ საშინაო დავალებების შესრულების პრო-  
ცესში დაცული უნდა იქნეს სიწყნარე. თუ გარეთ ხმაურია, ბავშვე-  
ბი მალე იღლებიან, მცირდება მუშაობის ხარისხი.

განსაკუთრებული ზრუნვაა საჭირო იმისათვის, რომ ნორმა-  
ლურად იქნეს განათებული თითოეული აღსაჩრდელის სამუშაო

ადგილი, საქმაოდ გასუფთავდეს ჰაერი. ოღმზრდელებმა ყურადღება  
უნდა მიაქციონ ბავშვების სწორად ჭდომას საშინაო. დავალებათ და გადატენა  
შესრულების დროს. კარგი გარემო-პირობები (საქმარისი ფართობი  
და კუბატურა, სინათლე, შენობაში ნორმალური ტემპერატურა-ტე-  
ნიანობა და სხვ.) ხელს უწყობს შრომისუნარიანობის მაღალ დო-  
ნებე შენარჩუნებას.

## კლასგარეშე მეცადინეობა და დღის რეზიტი

დღის რეჟიმის დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა  
სახის კლასგარეშე მუშაობის ზუსტ ორგანიზაციას.

ბოლო უნდა მოეღოს იმ მრავალ ლონისძიებას, როდესაც ბავ-  
შვი, თითქოსდა კონვეიერით, ერთი ლონისძიებიდან გადადის მეორე-  
ზე. ძალიან მნიშვნელოვანია მოისპოს ერთი და იგივე ლონისძიებე-  
ბის დებულება კომეკშირული და პიონერული ორგანიზაციების,  
ბავშვთა კოლექტივის საბჭოს ხაზით. დაუშვებელია, როდესაც აღ-  
საზრდელები ერთს და იმავე დღეს მონაწილეობენ ორ-სამ ორგა-  
ნიზებულ ლონისძიებაში.

სწორად იქცევიან სკოლა-ინტერნატების ის ხელმძღვანელები,  
რომლებიც ძირითად ყურადღებას აპყრობენ არა სკოლაში ჩასატა-  
რებლად სხვადასხვა სახის ლონისძიების რაოდენობას, არამედ მათი  
შინაარსის მაღალ ღირსებას.

კლასგარეშე მეცადინეობისათვის რეჟიმში გათვალისწინებული  
უნდა იქნეს 2 საათი I-VI კლასების აღსაზრდელთათვის და 2,5 სა-  
ათი VIII-X კლასების აღსაზრდელთათვის.

რეჟიმი არ უნდა ზღუდავდეს ბავშვთა ინიციატივას. საჭიროა  
მიეცეთ მათ შესაძლებლობა — თავისუფალი დრო მოახმარონ თა-  
ვიანთ საყვარელ საქმეს. რიგ სკოლა-ინტერნატებში კლასგარეშე  
უიანთ საყვარელ საქმეს. რიგ სკოლა-ინტერნატებში კლასგარეშე  
მეცადინეობების საათები იგეგმება კვირის ცხრილით. მაგალითად,  
კვირის ერთ დღეს მეცადინეობენ ტექნიკური წრეები, სპორტული  
სექციები, მეორედ ხდება კინოსურათების დამონტაჟება, ტარიება  
საერთო-სასკოლო საღამო, საერთო კრება, მესამედ ეჭყობა აღსაზრ-  
დელთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა სკოლის გარეთ  
და ა. შ.

საკლუბო დროის ასეთ განრიგს თავისი ნაკლიც აქვს, რაც იმა-  
ში გამოიხატება, რომ ყოველ საღამოს ტარიება ორგანიზებული  
მეცადინეობა და აღსაზრდელებს ყოველთვის როდი ჩატებათ საქმაო

დღი, რომელიც უნდა გამოიყენონ საკუთარი შეხედულების —  
მებრ.

თავისუფალი ღრო იმისათვის, რომ წაიკითხონ, დაისვენონ, და-  
წერონ წერილი, გაისეირნონ მეგობრებთან ერთად, იმცნებონ —  
ყოველთვის როდი აქვთ სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს.

რიგ სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთათვის (მესამე-მეოთხე  
კლასებიდან დაწყებული) შემოღებულია 1-2 თავისუფალი საღამო  
კვირაში. ასეთი საღამოების ღროს ღიაა კაბინეტ-სახელოსნოები და  
ტები, პიონერთა ოთახი, მუსიკისა და სათამაშო ოთახები, ბიბლიო-  
თეკა და ყველა სასტუმრო ოთახი. ბავშვები თავისუფლად სარგებ-  
ლობენ ინსტრუმენტებით და მასალებით, ცნობარებით. აღსაზრდე-  
ლებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ აგრეთვე კომიულტანტი-  
მასწავლებლები. არც აღმზრდელი, არც წრის მამასახლისი, არც  
რაზმის ხელმძღვანელი არავის ავალებენ ამა თუ იმ საქმის შესრუ-  
ლებას. თითოეული აღსაზრდელი დაკავებულია თავისი საყვა-  
რელა საქმით (აღსაზრდელებს, რომლებმაც ჭერ არ იციან თავისუ-  
ფალი დროის გონივრულად გამოიყენება, ტაქტიკად და მოთმინებით  
ექმარებიან მასწავლებლები).

აღმზრდელები და მასწავლებლები, ამ საღამოების ღროს, მუ-  
შაობენ არა თავის კლასებთან, არამედ მომსახურებას უწევენ ერთი  
სახის სკოლა-გარეშე მუშაობის გარკვეულ პუნქტებს (კაბინეტი,  
ბიბლიოთეკა, სახელოსნო). მასწავლებლებს ეხმარება აღსაზრდელთა  
აქტერა, მაგრამ ისე, რომ თვითოეული აქტივისტი 3-4 თავისუფალი  
საღამოდან დაკავებულ იქნეს მხოლოდ ერთ საღამოს.

არ შეიძლება ადამიანის აღსრდა გარეგნული დასციპლინისა  
და გარეგნული ზემოქმედების სისტემით. ჩეკიმი არ შეიძლება მი-  
მართულ იქნეს მხოლოდ გარეგნული მწყობრი წესრიგისაკენ, მხე-  
დველობაში უნდა მივიღოთ თითოეული აღსაზრდელის ინტერესები  
და სულიერი მოთხოვნილებანი.

ჩეკიმის თითოეულ ფორმას უნდა ჰქონდეს გარკვეული პედა-  
გლიური აზრი. სრულებით არ არის გამართლებული ის, რომ აღ-  
საზრდელები ყოველდღე მარშით მიღიან სასადილოში, კლასებში,  
გაკვეთილების მოსამზადებლად და ა. შ.

ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ ბავშვში არის განმარტოე-  
ბის, ოცნების მოთხოვნილება, ამიტომ ბოლო უნდა მოეღოს აღ-  
საზრდელთა თითოეული ნაბიჯის ზედამხედველობას და მეტი ნდო-  
ბა გამოეცხადოთ მათ.

ა. ს. მაკარენქო სასტიკად უარყოფდა ჩეუიმის განმტკიცებას სამწყობრო წერთნით. ის ამბობდა, რომ მწყრივი, რაზმი, სამხრეთი მარტინი სუბორდინაცია, დავალებით მარშირება ნაკლებად სასარგებლო ფორმებია ბავშვთა და ჭაბუკთა კოლექტივში, და ყველაფერი ეს იმდენად არ განამტკიცებს კოლექტივს, რამდენადაც ბავშვებს ღლის ფიზიკურად და ფუნქციურად.

საჭიროა, კლასგარეშე მუშაობის დროს მოფიქრებულად მოეწყოს აღსაზრდელთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა. ამ შრომას ისინი ეწევიან პრასასწავლო დროს, კვირაში ორჯერ: პირველკლასელები — 30-40 წუთს დღეში, II-IV კლასების მოსწავლეები — არაუმეტეს ერთი საათისა. V-VIII კლასების აღსაზრდელთაგვის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ხანგრძლიობა არ უნდათ და აღმატებოდეს დღეში 1,5 საათს, IX-X კლასების — 1,5-2 საათს,

ყველაზე უკეთესია საზოგადოებრივ-სასარგებლო-შრომა მოეწყოს გაკეთილების მომზადების შემდეგ, სასწავლო დღის ბოლოს, ვაეშმამდე.

დასაშვებია ჩეუიმის ძეთი ეარიანტიც, რომლის მიხედვით აღსაზრდელები ნასაღილებს ეწევიან შრომს, შემდეგ სეირნობენ ნახევარ საათს, მერე კი ამზადებენ საშინაო დავალებებს.

საელოსნოში მუშაობა ნავახშმევს, ძილის წინ, დაუშვებელია. ეს იწვევს ორგანიზმის გადაღლას და აგზნებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ძილის ხანგრძლიობაზე, ღრმა ძილზე;

დრო, ვახშმის შემდეგ, უნდა მოხმარდეს წყნარ თამაშს, კითხვას, საუბარს, გასეირნებას.

საზოგადოებრივ სასარგებლო სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვთა ჰაერზე ყოფნასთან, შეიძლება ჩატარდეს გასეირნებისა და მოძრავი თამაშისათვის გათვალისწინებულ საოთებში.

### გავშვთა ძილის, დასვენებისა და ფიზიკური აღზრდის ორგანიზაცია

ბავშვთა და მოზარდთა ნორმალური ფიზიკური განვითარებისათვის, კანმრთელობის განმტკიცებისა და შრომისუნარიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძილისა და დასვენების ორგანიზაციას.

ბავშვთა ძილის ხანგრძლიობა წესდება მათი ასაკის შესაბამის

სად. რაც უფრო მცირე ასაკისაა ბავშვი, მით უფრო მეტია მანშე  
ძილის მოთხოვნილება. ბავშვთა და მოზარდთა ძილის მინიჭებული  
ხახგრძლიობა ასეა რეკომენდებული: 7 წლის ბავშვებისათვის — 11,5  
საათი (მათ შორის 1 ან 1,5 საათი — დღის ძილი), 8-9 წლის ბავშვე-  
ბისათვის — 10,5 საათი; 10 წლის — 10,5-10 საათი; 11-12 წლის —  
10-9,5 საათი; 13-14 წლის — 9,5-9 საათი; 16 წლის მოზარდები-  
სათვის — 9-8,5 საათი და 17-18 წლის ჭაბუკებისათვის 8,5 საათი.

საშუალო და უფროსი ასაკის ცალკეული აღსაზრდელებისათ-  
ვის, ექიმის დასკვნით, შეიძლება დაწესდეს დღის ძილი 1-1,5 საათის  
ხანგრძლიობით.

ჰიგიენური სრულფასოვანი ძილისათვის პირველხარისხოვანი  
მნიშვნელობა აქვს სუფთა ჰაერს, სავსებით მოხერხებულ საწოლს,  
სუფთა ლოგინს, სიწყნარეს, დაუშვებელია, როგორც ცალკეულ აღსა-  
ზრდელებს სძინავთ ჩატეხილ ბადიან საწოლზე, მოკლე ლეიბზე  
და ა. შ.

სკოლა-ინტერნატის პირობებში სავალდებულოა ბავშვების  
ყოველდღიურად ყოფნა სუფთა ჰაერზე. უმცროსი კლასების აღსა-  
ყოფნა დღეში ოთხერ მაინც — დილით, საუზმის შემდეგ, სკოლაში  
ზრდელთათვის ყველაზე უფრო მიზანშეწონილია სუფთა ჰაერზე  
მეცალინეობის დაწყებამდე 30 წუთის, მესამე გაკვეთილის შემდეგ  
ან საღილამდე 1-1,5 საათს, საღილის შემდეგ 1-1,5 საათს და ძილის  
შინ — 30 წუთს.

საშუალო და უფროსი კლასების აღსაზრდელთათვის გათვა-  
ლისწინებულია ჰაერზე ყოფნა სამჯერ: დილით, საღილის შემდეგ  
და ვაზშმის შინ.

დღის გასეირნება, მისი ხანმოკლეობის მიუხედავად, ხელს  
უწყობს გაკვეთილებზე ბავშვების სწრაფად ჩაბმას მუშაობაში. ძა-  
ლიან სასარგებლოა აგრეთვე 30-წუთიანი გასეირნება ძილის წინ, ის  
ხელს უწყობს ღამის ღრმა ძილს.

ზოგიერთ ბავშვს არ უყვარს სიცივეში სეირნობა და არჩევს  
შინ დარჩენას, სეირნობის ნაცვლად — კითხვას, ქარგვას ან უმიზ-  
ნო დროსტარებას შენობაში. სასეირნოდ წასვლის სურვილის უქონ-  
ლობას ძალი იმით ხსნიან, რომ „გარეთ მათ არავითარი საქმე არ  
აქვთ“. ჯანმრთელ ბავშვებს უყვართ დასენინება აქტიურ მოქანდა-  
ში, ამიტომ გასეირნება უნდა შეესაბამებოდეს თამაშს, სპორტულ  
გართობას, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

დღის რეჟიმში შედის ფიზიკურ კულტურაში პეცადინეობა

ରାଜ୍ୟର ପରିବହନ କାର୍ଯ୍ୟର ଅଧୀକ୍ଷଣ ମଧ୍ୟ ଏହା କାହାର ଦେଖିଲୁ  
କାହାର ଦେଖିଲୁ

ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ ჩეფიმის აცელა მომენტი, ადგომიდან დაშუებული და საღამოს ტუალეტით დამთავრებული. ტარდება ზუსტად დადგენილ დროს. შეეჩინო სა-ზუსტეს — ეს ნიშნავს; შეეჩინოს საკუთარი თავისადმი ზუსტ მო-თვალისა, ყოველგვარი საქმის კეთილსინდისიერად შესრულების.

‘მოსწავლეთა დროის დიდი ეკონომიკა მუდმივი ადგილებში /  
დაწესება მათი პირადი ნიერებისა და საშინაო საგნების შესახებ მიზანით  
— დაუშვებელია მაგალითად ის, რომ ზოგჯერ აღსაზრდელს უძღება  
ფეხსაცმლის ან ტანსაცმლის გაგრისის, ღილის ან ძაფის და სხვა  
საგნების ძებნა.

მოფიქრებულად უნდა დაწესდეს აღსაზრდელთა მორიგეობა.  
სწორად იქცევიან იმ სკოლა-ინტერნატებში, სადაც შექლებისდა-  
გვარად ამცირებენ ყოველდღიურად მორიგეების რიცხვს, მოვა-  
ლეობას მათ შორის კი ანაწილებენ მათი ასაკისა და ფიზიკური  
შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მორიგეობის სახეებიდან ყველაზე უფრო შრომატევადია სასა-  
დილოში მორიგეობა. აღსაზრდელთა მორიგეობა მთელი დღის  
შანძილზე, სამუშაოს ერთგვაროვნების გამო, იწვევს მოსწავლეთა  
გადაღლას.

ამიტომ მორიგეობა მთელი დღის მანძილზე სკოლა-ინტერნა-  
ტებში ამოღებულ უნდა იქნეს ოვითმომსახურების პრაქტიკიდან.  
უფრო მიზანშეწონილია მორიგეობის განაწილება ორ კლასზე, ან,  
უკიდურეს შემთხვევაში, სამორიგეოდ მოსწავლეთა 2 ჯუფის გა-  
მოყოფა, რომლებიც შესაჩულებენ აუცილებელ სამუშაოს რიგ-  
რიგობით. რიგ სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა ერთი ნიშილი  
მორიგეობს საუზმის, მეორე — სადილის, მესამე — ვახშის ფროს.  
დროს. ზოგან პირველი კერძი, კისელი, კრმონტი მაგიდებზე შეაქვთ  
სპეციალური ჯამებით, ჩაი, ყავა, რძე — ჩაიღნებით.

კარგია, როცა სკოლა-ინტერნატებში ჭურჭლის ასალაგებლად  
იყენებენ ურიკას, ჭურჭლის გასარეცხად — ელექტროჭურჭლი-  
სარეცხ მანქანას, პურის დასაჭრელად — ელექტრონურისაჭრელა-  
და სხვა საყოფაცხოვრებო მანქანებს. შრომის მექანიზაცია სამაღა-  
ლოში მნიშვნელოვნად ამცირებს მორიგეობის დროს.

I-IV კლასების აღსაზრდელები უნდა განთავისუფლდნენ სამ-  
ზარეულოში მუშაობისაგან. საჭმლის დამზადებაში, მზა ცერძების  
დარიგებაში, წყლის სასმელი აუზების გამართვაში მონაწილეობენ  
მხოლოდ VII და უფროსი კლასების მოსწავლეები, რომლებმაც გა-  
იარეს სპეციალური საექიმო შემოწმება.

სწავლობენ რა მოსწავლეთა დროის ბიუგეტს, სკოლა-ინტერნა-  
ტების პედაგოგიურმა კოლექტივებმა თავიდან უნდა აღცილონ გვი-  
ლაფერი ის, რაც მოსწავლეებს ხელს უშლის, რაც შეიძლება რაციო-

ნალურად გამოიყენონ დრო დღე-ღამის განმავლობაში, და ამით მო-  
ალწიონ დღის რეჟიმის ზუსტად დაცვას.

დასასრულ, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ დღის რეჟიმი შემცირდება  
კეთესოდ სრულდება მაშინ, როცა ხელმძღვანელები და ოღმზრდე-  
ლები, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებზე დაყრდნობით,  
მოელ კოლექტურა შემოიქრებენ რეჟიმის ზუსტად დაცვისათვის.

კვირა და უქმე დღეებისათვის დღის რეჟიმი უნდა შედგეს  
ჩვეულებრივი რეჟიმისაგან განსხვავებული ვარიანტით და ამ  
დღეებში მეტი დრო უნდა დაეთმოს კულტმასობრივ მუშაობას.

რეფიმის ცალკეული მომენტების სანიმუშო ხანგრძლივობა  
დღე-დამის განმავლობაში I-X კლასების აღსაზრდელთავის

განვითარებული სამართლის მიერ განვითარებული სამართლის

დასახელება	კ ლ ა ს ე ბ ი								
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX-X
1. სასწავლო მეცადინება	3,30	4,30	4,30	4,30	5,30	5,30	5,30	5,30	5,30
2. საშინაო დაფალებათა შესრულება	1,00	1,00	1,5	2,00	2,00	2,5	2,5	3,00	3,00
3. კლასგარეშე მეცადინება- ობა საზოგადოებრივ- სასაჩვენებლო შრომის ჩათვლით	2,00	2,00	2,00	2,00	2,00	2,30	2,30	2,30	2,30
4. დამუნება სუფთა პა- ერზე (მოძრავი თამაში, სპორტული გართობა)	4,00	4,00	4,00	3,00	3,00	2,30	2,30	2,30	2,30
5. ოთიმატსახრება (დო- ლის და საღმის ტუ- ლერი) წყლის პროცე- დურების, ოთახების, და- ლაგების და საჭმლის მიზების ჩათვლით)	1,00	1,00	1,00	1,5	1,5	1,5	1,5	2,00	2,00
6. ძილი: ღამის დღის	10,00	10,00	10,00	9,00	9,00	9,00	9,00	9,00	9,00
				1,00					

შენიშვნა: იმ დღეებში, როცა სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია  
გაყენების უფრო მცირე რაოდენობა, თავსუფალი ურო  
გამოიყენება სკოლა-ინტერნატის შეხედულებისამებრ

დღის სანიმუშო რეჟიმი I-III კლასების აღსაზრდელთათვის



დასახელება	კლასები			
	I	II	III	შენაბაზა
1. პდგრმა	7.00	7.00	7.00	7.00
2. დილის გამამხნევებელი ვარჩევი	7.05—7.20	7.05—7.20	7.05—7.20	7.05—7.20
3. საძირებლების დალაგება, დილის ტეატრი	7.20—7.40	7.20—7.40	7.20—7.40	7.20—7.40
4. საუწმე	7.40—8.00	7.40—8.00	7.40—8.00	7.40—8.00
5. გასეირნება	8.00—8.30	8.00—8.30	8.00—8.30	8.00—8.30
6. სატავლო შეცავანეობა	8.30—12.00	8.30—13.00	8.30—13.00	8.30—13.00
7. თავისუფალი ღრო, დასენება სუფთა პარტე	12.00—14.00	13.00—14.00	13.00—14.00	13.00—14.00
8. სადალი	14.00—14.30	14.00—14.30	14.00—14.30	14.00—14.30
9. ნასადილების მილი	14.30—15.30	--	--	--
10. მომრ. თამაში, გართონა სუფთა პარტე	15.30—17.00	14.30—17.00	14.30—17.00	14.30—17.00
11. გასეიროლების მომზადება	17.00—18.00	17.00—18.00—17.00—18.30		
12. კლასგარეშე მეც. საზარელებლო შერომანის დოკუმენტი	18.0—19.0	18.0—19.30	18.30—19.30	
13. ვაჭარა	19.30—20.00	19.30—20.00	19.30—20.00	
14. გასეირნება ძილის წან 20.00—20.30	20.00—20.30	20.00—20.30	20.00—20.30	
15. საღამოს ტეატრი, ტანაცემლის და ღერბების მოვლა	20.30—21.00	20.30—21.00	20.30—21.00	
16. ძღვა	21.00—7.00	2.00—7.00	1.00—7.00	



**სკოლა-ინტერნატის დღის სანიმუშო რეჟიმი ზაფხულის  
პერიოდისათვის**



საქართველოს  
განათლებისა და კულტურის  
Ministry of Education and Science of Georgia

რეკვიმის მომენტები	7-8 წლის პაციუტათვის	7-12 წლის	13-14 წლის	15-18 წლის
1. ადგომა	7	7	7	7
2. ფალის გამომხატველის გარეშე, წელით დაწელა, წყლის გადასხმა, მხატვი	7.05—7.20	7.05—7.20	7.05—7.20	7.05—7.20
3. საქანებლის დასაგება და ტუალეტი	7.20—7.40	7.20—7.40	7.20—7.40	7.20—7.40
4. საუზმე	7.40—8.00	7.40—8.00	7.40—8.00	7.40—8.00
5. საზოგადოებრივი - სასაჩვენებლო მრავა	8.00—10.00	8.00—10.00	8.00—10.00	8.00—10.00
6. გასერიტნება, მოძრავი თავზში (11 საუზმე)	10.00—11.30	10.00—11.30	10.00—11.30	10.00—11.30
7. მზის იაზანების და წყლის პროცესურები	11.30—12.30	11.30—12.30	11.30—12.30	11.30—12.30
8. თავისუფლალი ღრო	12.30—14.00	12.30—14.00	12.30—14.00	12.30—14.00
9. სატალი	14.00—14.30	14.00—14.30	14.00—14.30	14.00—14.30
10. ნასაღილებების დასვენება 7-10 წლის ბავშვების გალი	14.30—16.00	14.30—16.00	14.30—16.00	14.30—16.00
11. შემოქმედებითი საქმიანობა წრეებში	16.00—17.30	16.00—17.30	16.00—18.00	16.00—18.00
12. მასობრივი მუზეუმია, მხატვრული წრეების — მეცნიერობა, თეორეტიკურების — სალამანები	17.30—20.00	17.30—20.00	18.00—20.30	18.00—20.30
13. ვაჭამი	20.00—20.30	20.00—20.30	20.30—21.00	20.30—21.00
14. გასერიტნება ძილის წინ	20.30—21.00	20.30—21.00	21.00—21.30	21.00—21.30
15. ძილისათვეს მომზადება	21.00—21.30	21.00—21.30	21.30—22.00	21.30—22.00
16. ძილი	21.00—21.30	21.00—21.30	21.30—22.00	21.30—22.00

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

1971 წლის 8 ივლისის

ბრძანება № 519

გეოგრაფიული რეპუბლიკური კონკურსის „ნორჩ  
 ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ შედეგებისა  
 და გეოგრაფიული კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკო-  
 ლა-ინტერნაციების, სკოლისგარეშე და სხვა საპავშვო დაწესებულებ-  
 ების მიერ მეთერზმეტე რესპუბლიკურ კონკურსზე „ნორჩ ნატუ-  
 რალისტთა დახმარება სკოლას“ მრავალი საინტერესო მოხსენება და  
 საკუდელი მუშაობის ამასხველი მასალა იქნა წარმოდგენილი. დებუ-  
 ლებით თემატიკის მიხედვით, საცდელი მუშაობის გამომახატველი  
 მასალები წარმოდგენდა ნორჩ მეხილეთა, მეჩაიეთა, მევენახეთა  
 შებორტნეთა, მეცხოველეთა და სხვა ექსპონატებს, რომლებიც სოფ-  
 ლის მეცნიერობის წარმოებასთან არის დაკავშირებული. საკონკურსო  
 ექსპონატებს შორის საკმაოდ ვრცლად იქნა წარმოდგენილი მოსწა-  
 ვლეთა საწარმოო ბრიგადებისა და სასკოლო სატყეოს ორგანიზა-  
 ციების მიერ შესრულებული ნამუშევრები.

მეთერზმეტე კონკურსზე გაიზარდა მოწინავე ქალაქების, რა-  
 იონების, სკოლების, ნატურალისტთა წრეებისა და მოსწავლეთა ჩი-  
 ცხვი. მაგალითად, მეოთე რესპუბლიკური კონკურსის მონაწილე  
 იყო 43 რაიონი და ქალაქი, 382 სკოლა, სკოლა-ინტერნატი და  
 სკოლისგარეშე საპავშვო დაწესებულება, 319 ნორჩ ნატურალისტ-  
 თა წრე და 2014 ნატურალისტი. მეთერზმეტე რესპუბლიკურ კონ-  
 კურსზე კა მონაწილეობის უფლება მოიპოვა 45 რაიონმა და ქალაქ-  
 მა, 389 სკოლამ, სკოლა-ინტერნატმა და სკოლისგარეშე საპავშვო  
 დაწესებულებამ, 355 ნორჩ ნატურალისტთა წრემ, 17 მოსწავლეთა  
 საწარმოო ბრიგადამ, 18 სასკოლო სატყეომ, 3675 ნორჩმა ნატურა-  
 ლისტმა.

მეთერზმეტე რესპუბლიკური კონკურსისათვის სერიოზულად  
 მომზადნენ: აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტო-  
 ნომისური ოლქის, ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ასპინძის,  
 ახმეტის, მცხეთის, გორის, აშბროლაურის, გარდაბნის, დუშეთის, სა-

გარევოს, წითელწყაროს, წულუკიძის, მახარაძის, თელავის, ტყიბჭელის, ჭიათურის, ლანჩხუთისა და წალენჯიხის რაიონების განათლებულებების განყოფილებები.

აღნიშნულთან ერთად, მეთერთმეტე რესპუბლიკური კონკრეტული შპატების პერიოდში შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი ნაკლებანებები. მეთერთმეტე რესპუბლიკურ კონკურსზე შოთაწილებას უფლების მოსაპოვებლად არავითარი ღონისძიება არ გაუტარებიათ წალკის, ახალქალაქის, ყაზბეგის, მესტიისა და ბორჯომის რაიონების განათლების განყოფილებებს. კონკურსზე ცუდი ექსპონატები იქნა წარმადგენილი ხაშურის, დმანისის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების განათლების განყოფილებების მიერ.

ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილება სათანადო ყურადღებას არ აქციეს კონკურსზე საკუდელ-პრაქტიკული მუშაობის ამსახველი მასალების მომზადებისა და წარმოდგენის საქმეს, უგულებელყოფს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან საქმიან ურთიერთობას, არაგამკმაყოფილებელ ხელმძღვანელობასა და კონტროლს აორეციელებს სკოლისგარეშე საბაჟვო დაწესებულებების მუშაობაზე და სხვ.

### ვ ბრძანებ:

1. მეთერთმეტე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ მომზადების პერიოდში კარგი მუშაობასა და გამოფენაზე საუკეთესო ექსპონატების წარმოდგენისათვის ღარისელოვდეს:

ა) „სახალხო განათლების წარმინიებულის“ სამკერდე ნიშნით — ხუთი მასწავლებელი და ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ორი მუშავი

(დანართი № 1)

ბ) პირველი ხარისხის ღიპლომით — ნორჩ ნატურალისტთა 3 სადგური, 13 სკოლა, ერთი პიონერთა სახლი, 1-ე ვოლენდე და 10 მასწავლებელი (დანართი № 2).

გ) მეორე ხარისხის ღიპლომით — ნორჩ ნატურალისტთა ერთი სადგური, 36 სკოლა, 8 ნორჩ ნატურალისტთა წრე, 3 მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა, 69 მოსწავლე და 33 მასწავლებელი (დანართი № 3).

დ) სიგელით — 130 სკოლა, 4 სკოლა-ინტერნატი, 9 ნორჩ ნა-

ტურქიალისტთა შტე, 199 შოსწავლე და 31 შასწავლებელი (დანიშნული  
№ 4).

ეროვნული  
გამოცემის

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაქმა), ზონების ში-  
ხედებით სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს, სკოლისგარეშე და სხვა  
საბავშვო დაწესებულებებს გაცნოს საქართველოს სსრ განათლე-  
ბის საძინისტრის 1974 წლის 3 ივლისის № 519 ბრძანება მეთორმე-  
ტე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დასმარება  
სკოლას „შედეგებისა და მეთორმეტე კონკურსის ჩატარების შესა-  
ხებ. კონკურსში გამარჯვებულთ გადასცეთ „სახალხო განათლე-  
ბის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნები, დიპლომები და სიგელე-  
ბი.

3. 1974/1975 სასწავლო წლის პირველი სექტემბრიდან  
1975/1976 სასწავლო წლის პირველი ნოემბრამდე გამოცხადდეს მე-  
თორმეტე რესპუბლიკური კონკურსი „ნორჩ ნატურალისტთა და-  
სმარება სკოლას“.

კონკურსში მონაწილეობის უფლებების მოსაპოვებლად ნატუ-  
რალისტური მუშაობის ამსახველი ექსპონატები და სხვა მასალები სა-  
ხალხო განათლების აღგილობრივმა ორგანოებმა ნორჩ ნატურალი-  
სტთა რესპუბლიკურ სადგურს წარუდგინონ 1975 წლის 15-დან 25  
ოქტომბრამდე (თბილისი-14, გორგავალის ქ. 75). საკონკურსო გა-  
მოფენა შოეშეყოს 1975 წლის პირველი ნოემბრიდან 15 ნოემბრამ-  
დე.

4. მეთორმეტე რესპუბლიკური კონკურსის ორგანიზებულად  
ჩატარებისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი  
შემადგენლობით:

ა) განაშვილი არჩილ გაბრიელის ქ. — სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტის, ზოოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი (თავმჯდომარე);

ბ) ფაჩუაშვილი მერი ნიკოლოზის ასული — საქართველოს  
ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

გ) ყურაშვილი ბორის ეპიფანეს ქ. — ზოოლოგიის ინსტიტუ-  
ტის დირექტორი, პროფესორი;

დ) გოგორიშვილი მამია ალექსანდრეს ქ. — ბოტანიკური ბა-  
ლის დირექტორი, პროფესორი;

ე) ლომკაცი სიმონ ილას ქ. — მებალეობა-მეცნიერებისა და  
მედვინეობის კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, სოფ-  
ლის მეურნეობის მეცნიერების დოკტორი;

ვ) ახვლელიანი ნიკოლოზ ორენტის ქ. — საქართველოს სსრ

განათლების სამინისტროს ინსპექტორი (თავჯდომარის მმოადგილე),  
ზ) თავაძე გურამ მათეს ც — ნორჩ ნატურალისტთა რეპუბლიკური უნივერსიტეტის  
ლიკური საფგურის დირექტორი (მდივანი); გამართებულის გამართებულის

თ) ასამშავე ოლია ალექსანდრეს ასული — ქ. თბილისას პედა-  
გოგიური კაბინეტის მეთოდისტი;

ი) ჭიქიძე თამარ გრიგოლის ასული — პოლერთა და მოსწავლე-  
თა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგის კაბინეტის გამგე.

ანალიგიური კომიტეტები შეიქმნას აფხაზეთისა და აჭარის  
ასარ განათლების სამინისტროებში, სამხრეთ თუეთის ა/ოლქის, რა-

5. ჩერტვებლიკური კონკურსის სამინისტროებში: კომიტეტი:  
იონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებში:

ა) სკოლები, სკოლა-ინტერნატები და სკოლისგარეშე საბავშ-  
ვო დაწესებულებანი დროულად უზრუნველყოს დებულებით, მი-  
თითებებით და კონკურსისათვის საჭირო სხვა მასალებით;

ბ) გამაჟურარებული დახმარება და კონტროლი დაწესებულის იმ  
რაონებისა და ქალაქების მიმართ, რომელმაც არადამაკაყაფი-  
ლებლად იმუშავეს მეორეთმეტე კონკურსის მომზადების პერი-  
ოდში;

გ) სისტემატურად შეამოწმოს და კომიტეტის ცენომაზე მოის-  
მინოს კახურისისათვის მზადების მიმდინარეობის მდგომარეობა,  
შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს სკოლების სამარ-  
თველოს;

დ) მეთორმეტე რესპუბლიკური კონკურსის შედეგების მიხედ-  
ვით შეგამებული მასალები წარმოუდგინოს საქართველოს სარ გა-  
ნათლების სამინისტროს კოლეგიას.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასარ განათლების მინისტრებმა, სამ-  
ხრეთ ასეთი ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების გა-  
ნათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) კოლეგაებისა და სახალხო განათლების საბჭოების პრეზი-  
დენტე განიხილონ საქართველოს სსრ ვანათლების სამინისტროს  
ბრძანება — „მეთორმეტე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატუ-  
რალისტთა დახმარება სკოლას“ შედეგებისა და მეთორმეტე კონკუ-  
რსის ჩატარების შესახებ“. სხვა ღონისძიებებთან ერთად დაავალის  
ჟურნალი საბავშვო დაწესებულების დირექტორებს სამუშაო გეგმი-  
ში შეიტანონ საკითხი მეთორმეტე კონკურსისათვის მზადების შე-  
სახებ;

ბ) სისტემატური დახმარება იღმოუჩინონ სკოლებსა და სხვა

საბავშვო დაწესებულებებს კონკურსისათვის მზადების პერიოდზე  
ში (საცდელი თემატიკის შეჩრევა, მონოგრაფიებისა და ფოტოგრაფია-  
ბომების შედგენა, ატენდების მომზადება და სხვა):

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ საკონკურსო  
მასალების მომზადებას, რომელიც დაკავშირებული იქნება მოსწა-  
ვლეთა საწარმოო ბრიგადების, ბუნების ნორჩი მეცნიეროთა საზოგა-  
დოების, სასკოლო სატურეო ორგანიზაციისა და პიოლოგიაში ახალი  
სასწავლო პროგრამით მუშაობის საკითხებთან;

დ) შეაჩინონ მოწინავე სკოლები, სკოლა-ინსტრუმენტის, სკო-  
ლისგარეშე საბავშვო დაწესებულებები, მოსწავლეთა საწარმოო  
ბრიგადები, სასკოლო სატურეო ორგანიზაციები, ბუნების ნორჩი და-  
მცველები, ნორჩი ნატურალისტთა წრები და ნორჩი ნატურალის-  
ტები, რომლებიც შეიძლება წარდგენილ იქნან სახალხო მეურნე-  
ობის ჰილტევათა გამოფენაზე.

7. XII რესპუბლიკური კონკურსისათვის უცვლელი დაზრეული  
მოქმედი დებულების „ნორჩი ნატურალისტთა დამმარება სკოლას“  
ჟველა განკოილება. მასში ამ ბრძანების შესაბამისად შეიცვალოს  
კონკურსის ჩატარებისა და შედეგების შესაბამისი ვადები.

8. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამ. ა. კაჭაძე) 1975  
წლის ბიუჯეტში გათვალისწინოს მეთოდებით რესპუბლიკური  
კონკურსის „ნორჩი ნატურალისტთა დამმარება სკოლას“ დაფინანსე-  
ბა.

9. მომარაგებისა და დამმარე საწარმოთა სამმართველომ (ამ. ა.  
გ. კბილაშვილმა) 1975 წელს მეთოდებით რესპუბლიკური კონკურ-  
სისათვის გამოყოს ფონდები ნორჩი ნატურალისტთა რესპუბლიკუ-  
რი საგურადის განაცხადის მიხედვით.

10. ეურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ და მისმა დამატებამ „ქი-  
მია-ბიოლოგია სკოლაში, აგრეთვე გაზეთმა „სახალხო განათლე-  
ბაშ“ პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები კონკურსისათვის მზა-  
დების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

11. სკოლების სამმართველომ (ამ. რ. კანდელაკმა) კონტროლი  
დაწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1974 წლის 20 ივნისის დადგენი-  
ლება.

## მინისტრი

თ. ლაშვარაშვილი.

„სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით

- ლაშები ტატიანა პართენის ასული — ქობულეთის რაიონის ჩაქვეში ქართული საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.
  - ასთავეშილი ქეთო ალექსის ასული — საგარეჯოს რაიონის მანავის მე-2 საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.
  - ხვედელიძე თამარ ალექსის ასული — ქარელის რაიონის რუსის I საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.
  - დათუკაშვილი ევგენია ალექსანდრეს ასული — თელავის რაიონის ჭინანდლის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.
  - ჭულელი ვიქტორ ვახაიძის ძე — აფხაზეთის ასსრ ნორჩ ნატურალისტთა სადგურის პედაგოგი.
  - რამაზაშვილი ალექსანდრე ზაქარიას ძე — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორის მოადგალე.
  - გასპარიშვილი ნაზი აჩსენის ასული — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის მეპარუბა-მეცნიერების განყოფილების გამგე.

### პირველი ხარისხის დიპლომით

#### ნორჩ ნატურალისტთა სადგურები:

1. აჭარის ასსრ ნორჩ ნატურალისტთა სადგური.
2. სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის ნორჩ ნატურალისტთა სადგური.
3. ქ. ქუთაისის ნორჩ ნატურალისტთა სადგური.

#### სკოლები და სკოლა-ინტერნატები:

1. ქ. რუსთავის მე-17 საშუალო.
2. მახარაძის რაიონის კვირიკეთის საშუალო.
3. მახარაძის რაიონის გურიანთის საშუალო.
4. საგარეჯოს № 1 საშუალო.
5. საგარეჯოს რაიონის მანავის № 1 საშუალო.
6. ჩაქვის ქართული საშუალო.
7. ცხინვალის რაიონის ქსუისის საშუალო.
8. ასპინძის რაიონის ძველის საშუალო.
9. ასპინძის რაიონის ოშორის საშუალო.
10. ასპინძის საშუალო.
11. ლანჩხეუთის რაიონის ჩოხხათის საშუალო.
12. ტყიბულის რაიონის გელათის რვაწლიანი.
13. მახარაძის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი.

#### პიონერთა რაზმი

#### ასპინძის საშუალო სკოლის პიონერთა მე-10 რაზმი.

#### მოსწავლეები:

